*დამტკიცებულია*
*უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს*
*2022 წლის 19 მაისის №01-05-04/42 დადგენილებით*

# სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სტატუსს, უფლებამოსილებებს, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურას საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

2. დებულება შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) სამართლებრივი აქტებისა და ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგისა" (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონიის პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის გავლის მარეგულირებელი წესი (კომპონენტების შეფასება, სადისერტაციო ნაშრომის მიმართ წასაყენებელი მოთხოვნები, კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილებები) განისაზღვრება დოქტორანტურის შესახებ დებულებით (შემდგომში - დოქტორანტურის დებულება), რომელსაც უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

## მუხლი 2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სტატუსი

1. უნივერსიტეტში დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ ორგანოებს წარმოადგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოები (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო), რომლებიც იქმნება დარგობრივი ნიშნის მიხედვით - საინჟინრო, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს კომპეტენციისთვის მიკუთვნების საკითხს წყვეტს აკადემიური საბჭო.

2. სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან, აგრეთვე უნივერსიტეტის

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში მინიმუმ ერთი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს თითოეულ ფაკულტეტს.

3. სადისერტაციო საბჭოს წევრს უნდა ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ 2 სამეცნიერო ნაშრომი ერთ-ერთი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში ან/და შესრულებული პრაქტიკული პროექტი, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას.

4. აკადემიურ საბჭოს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოების და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების მიერ წარედგინება არა უმეტეს 4 სადისერტაციო საბჭოს წევრის კანდიდატურა, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმს. აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს წარდგენილი კანდიდატურებიდან სადისერტაციო საბჭოს წევრს.

5. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის რექტორს უფლება აქვს აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს არაუმეტეს 3 სადისერტაციო საბჭოს წევრის კანდიდატურა.

6. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 15 წევრით.

7. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან ამ დებულებით დადგენილი წესით აირჩევა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.

8. საბჭოს შემადგენლობას და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, ამ დებულებით დადგენილი წესით.

9. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

10. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

11. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი.

12. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;

გ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
13. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას, ამ დებულებით დადგენილი წესით, მის ნაცვლად აირჩევა ახალი წევრი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

**მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება**

1. სადისერტაციო საბჭო:

ა) ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

ბ) თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, საბჭოს უფლებამოსილების ვადით, საბჭოს წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით, ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) ამ დებულებით დადგენილი წესით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საბჭოს სწავლულ მდივანს;

დ) ამ დებულებით განსაზღვრული წესით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს წინასწარი დაცვის პროცედურაგავლილი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების კანდიდატურებს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიას და განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის თარიღს;

ე) იღებს გადაწყვეტილებას საექსპერტო კომიისიის შექმნის თაობაზე საკვლევი თემის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ან/და სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული საკვლევი თემის და ნაშრომის შინაარსის შესაბამისობასთან დაკავშირებით ან/და წინამდებარე დებულების, დოქტორანტურის დებულების ან/და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნების არსებითი დარღვევის შემთხვევაში;

ვ) აკადემიური და კვლევის ეთიკის დარღვევის არსებობის შემთხვევაში (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი ან სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.) იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის შემოწმების თაობაზე და ქმნის კომისიას ან/და იწვევს ექსპერტს;

ზ) ამტკიცებს დისერტაციის დაცვის განსხვავებულ რეგლამენტს ერთობლივი (მათ შორის ორდიპლომიანი) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში;

თ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის დადებითი დასკვნის (შეფასების) საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ან უარს ამბობს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) ახორციელებს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საბჭო პასუხისმგებელია ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, სემესტრში, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც.
*(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის #01-05-04/37 დადგენილება)*

**მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი**

1. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა 2/3.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება სადისერტაციო საბჭოს უხუცესი წევრი.
3. სადისერტაციო საბჭო, თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.
4. სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში სხდომის მოწვევა შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს წევრების, სულ მცირე, 1/3-ის ან ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნით.
5. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
ბ) ადგენს სხდომის დღის წესრიგს და დროს;
ე) უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოიწვიოს დარგის სპეციალისტი/ექსპერტი;
ვ) უფლებამოსილია, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად განახორციელოს სხვა საჭირო ღონისძიებები;
ზ) ახორციელებს ამ დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეხმარება საუნივერსიტეტო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომას.
8. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი საბჭოს საპროცედურო და ორგანიზაციულ საქმიანობას:

ა) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
ბ) ხელმძღვანელობს საბჭოს საქმისწარმოებას;
გ) ახორციელებს საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საჭირო სხვა ფუნქციებს.
9. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა და დასაბუთებული გადაწყვეტილებები აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.
10. სადისერტაციო საბჭო იხილავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წარდგინებას დისერტაციის დაცვის დადებითი შედეგების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
11. სადისერტაციო საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
12. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციური ფორმით ან გამოკითხვის წესით, გარდა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მოწვეული სხდომისა.
*(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის #01-05-04/37 დადგენილება)*

**მუხლი 5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია**

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების მიზნით, დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტ(ებ)ის და საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით შეირჩევიან სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრობის და რეცენზენტობის კანდიდატურები, რომლებსაც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის სწავლული მდივნის თანამონაწილეობის დადასტურებით შემუშავებული ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის პროფესორების და ასოცირებული პროფესორებისაგან ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება სადოქტორო პროგრამის შესაბამის სამეცნიერო

მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში ან/და უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების/დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია თანამდებობა.

5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში წევრის სტატუსით შეიძლება შეყვანილ იქნას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით შერჩეული სადისერტაციო საბჭოს წევრი ან სხვა, შესაბამისი მიმართულების/დარგის სპეციალობის, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში ასევე, შედიან რეცენზენტები. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 11 წევრისგან.

7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია თავისი შემადგენლობიდან.

8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე, დაცვის კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე და დაცვის კოლეგიის მდივანი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

*(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის #01-05-04/37 დადგენილება)*

**მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის უფლებამოსილება**

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია:

ა) თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, კოლეგიის უფლებამოსილების ვადით, კოლეგიის წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით, ირჩევს კოლეგიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

ბ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას დადგენილი წესით;

გ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს;

დ) კოლეგიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების შედეგებს სადისერტაციო საბჭოს;

ე) ახორციელებს ამ დებულებით, კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი

აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის მუშაობის წესი**

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომას თავმჯდომარეობს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე. თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.
3. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის არა ნაკლებ 2/3, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 2/3.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომის მიმდინარეობა და დასაბუთებული გადაწყვეტილებები აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის მდივანი უზრუნველყოფს კოლეგიის ორგანიზაციულ საქმიანობას. მდივნის უფლებამოსილებებია:

ა) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომების ორგანიზება;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმის წარმოება;
გ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
დ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის საქმისწარმოების უზრუნველყოფა;
ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის ფაკულტეტისთვის მიწოდების უზრუნველყოფა;
ვ) ამ დებულებით, კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**მუხლი 8. დისერტაციის დაცვის პროცედურა და შეფასება**

1. სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად წარდგენა ხდება შესაბამის დაცვის კოლეგიაზე, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის შემდეგ დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.
2. დაცვის კოლეგია დისერტაციის დაცვის ჩატარებას უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის გადაცემიდან ორი კვირის ვადაში.
3. დისერტაციის დაცვის და შეფასების პროცედურა ტარდება დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.

4. დადებითი შეფასების მიღებისას, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია შეფასებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წარდგენილი იქნება შესაბამის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
5. სადისერტაციო საბჭოზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, უნდა ინახებოდეს სადისერტაციო საბჭოში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

**მუხლი 9. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება/მინიჭებაზე უარის თქმა**

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) ანიჭებს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო.
2. სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის დასკვნას (შეფასებას) განიხილავს მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით გამართულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე/მოადგილე, დოქტორანტი და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, აგრეთვე სადისერტაციო საბჭოს მიერ შერჩეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრი.
4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე.
5. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით გამართულ სხდომაზე საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წევრს უფლება აქვს, ნაშრომთან დაკავშირებით დაუსვას შეკითხვები დოქტორანტს და მოითხოვოს მისგან განმარტებები.
6. თითოეული დოქტორანტის მიმართ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას კენჭისყრა უნდა იყოს ღია.
7. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარი განაცხადოს, თუ:
ა) ამ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არსებობს საექსპერტო კომისიის უარყოფითი დასკვნა;
ბ) ამ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოწმებისას დადასტურდა აკადემიური და კვლევის ეთიკის დარღვევა;
გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წერილობით გამოიცემა არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8[1]. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და საექსპერტო კომისიის/ექსპერტის დასკვნა რეაგირებისათვის გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან ან გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.

8[2]. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, თუ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლებმა დაუჭირა მხარი, სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე. ამ შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმს უნდა დაერთოს სადისერტაციო საბჭოს იმ წევრების არგუმენტირებული დასაბუთება, რომლებმაც წინააღმდეგ მისცეს ხმა. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი არგუმენტირებული დასაბუთების შეფასებისთვის შექმნას საექსპერტო კომისია ან მოიწვიოს ექსპერტი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და საექსპერტო კომისიის/ექსპერტის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეაგირებისათვის გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან ან გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.

8[3]. საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს საკითხის ხელახლა განხილვას საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

9. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების/მინიჭებაზე უარის თქმის პროცედურის ამსახველი სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და დოკუმენტაცია, ინახება შესაბამის ფაკულტეტზე 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

*(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის #01-05-04/37 დადგენილება)*

## მუხლი 10. გასაჩივრების წესი

1. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დარღვევის ან შედეგების თაობაზე სადისერტაციო საბჭოს/დაცვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში.

2. ამ დებულებით დადგენილ პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული

პრეტენზიების განხილვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. პირი, რომელიც მონაწილეობდა ამ დებულებით დადგენილ პროცედურებში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრვლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. დაინტერესებულ პირებს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვთ გადაწყვეტილების გაცნობიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შემოტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 სამუშაო დღეში.

8[1]. საპრეტენზიო კომისია საჩივარს განიხილავს და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) აკმაყოფილებს საჩივარს და ცვლის ან აუქმებს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას;

ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას.

8[2]. დაინტერესებული პირი და სადისერტაციო საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწრონ საპრეტენზიო კომისიის მიერ საჩივრის განხილვის სხდომებს.

9. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან/და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის #01-05-04/37 დადგენილება)*

## მუხლი 11. დისერტაციის გამოქვეყნება

ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული

ეგზემპლარი უნდა გადაეცეს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

**მუხლი 12. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

ამ დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, რომელსაც უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

**მუხლი 13. გარდამავალი დებულებები**

2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის მიერ დადებითად შეფასებულ სადისერტაციო ნაშრომებზე შესაბამისი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცესი დასრულდეს 2022/2023 სასწავლო წლის დაწყებამდე.

**მუხლი 14. დებულების ძალაში შესვლა**

დებულება ძალაშია დამტკიცების დღიდან.